# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 133

„24“ მაისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.048) და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.048) და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ.№30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.216.322 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.003.048) და ქალაქ თბილისში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში მდებარე 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „04“-ის (ს/ნ: 211374289) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გოგებაშვილის I შესახვევი, გუნიას გასასვლელში მდებარე 4124 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.02.069.073) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე